სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალური და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების
შესახებ
თსუ რექტორის 2025 წლის 6 აგვისტოს ბრძანების (N 176/01-01 და N 177/01-14)
საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის უზრუნველსაყოფად,
აკადემიური
საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის #49/2025 დადგენილებით დამტკიცებული
შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის

შ ე მ ა ჯ ა მ ე ბ ე ლ ი ო ქ მ ი

ქ. თბილისი 16 ოქტომბერი, 2025

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), პროფესორი ამირან ბერძენიშვილი, (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ასისტ. პროფესორი შორენა თურქიაშვილი (კომისიის მდივანი), ასოც. პროფესორი ანა დიაკონიძე, ასოც. პროფესორი თამარ მახარაძე, ასოც. პროფესორი ნათია ფარცხალაძე.

დღის წესრიგი:

1. კონკურსის შედეგების შეჯამება (გასაუბრების და კენჭისყრის შედეგების შეჯამება);
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის თსუ-ის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის პირველი (დოკუმენტების შესწავლა) და მეორე სხდომის (გასაუბრება/ლექცია და კენჭისყრა) შედეგები.

თსუ სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ასოცირებული პროფესორის 2 აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობდა 2 კანდიდატი: სალომე ნამიჭეიშვილი (სოციალური მუშაობა) და

კახა ქეცბაია (სოციოლოგია). კანდიდატებს წესრიგში ჰქონდათ საკონკურსოდ წარდგენილი დოკუმენტაცია.

პირველმა კანდიდატმა, **სალომე ნამიჭეიშვილმა,** გასაუბრებაზე მიმოიხილა კომისიის მიერ შერჩეული თემა - „ბავშვობის საზიანო გამოცდილებები". რომელიც განიხილავს ბავშვობის პერიოდში განცდილ ტრავმულ გამოცდილებებს, მათ შორის ფიზიკურ, ემოციურ და სექსუალურ ძალადობას, უგულებელყოფას, ასევე, ოჯახში არსებული დისფუნქციური გარემოს და ხაზს უსვამს ამ გამოცდილებების გავლენას ბავშვის განვითარებასა და კეთილდღეობაზე.

სალომე ნამიჭეიშვილის პრაქტიკული და აკადემიური საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება ბავშვთა დაცვის, კეთილდღეობისა და ზრუნვის სისტემას. მისი სადისერტაციო ნაშრომი მიეძღვნა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის შეფასებას საქართველოში, რომელშიც გაანალიზებულია ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული და საჭიროებაზე დაფუძნებული მიდგომების ურთიერთშეპირისპირება პოლიტიკისა და პრაქტიკის კონტექსტში.

2024 წელს სალომე ნამიჭეიშვილი მონაწილეობდა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ კვლევით პროექტში, როგორც ძირითადი მკვლევარი. კვლევა მიზნად ისახავდა ბავშვის შეფასების სისტემის სიღრმისეულ შესწავლას უწყებათაშორისი კოორდინაციის კონტექსტში.

2023 წლიდან სალომე ნამიჭეიშვილი მონაწილეობს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მხარდაჭერილ კვლევით პროექტში, რომელიც მიზნად ისახავს ფსიქოსოციალური მომსახურებების ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობას საქართველოში.

სალომე ნამიჭეიშვილი UNICEF Innocenti – კვლევისა და პროგნოზირების გლობალური ოფისის მიწვევით არის საკონსულტაციო ექსპერტთა ჯგუფის (Expert Research Advisory Group – ERAG) წევრი გლობალურ კვლევით ინიციატივაში „მტკიცებულებები ოჯახზე დაფუძნებული ალტერნატიული ზრუნვის გაძლიერებისთვის". აღნიშნული ინიციატივა ხორციელდება დიდი ბრიტანეთის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის (FCDO) მხარდაჭერით და მიზნად ისახავს ოჯახზე დაფუძნებული ალტერნატიული ზრუნვის სისტემებისა და ბავშვთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევის საფუძველზე. საკონსულტაციო ექსპერტთა ჯგუფი მუშაობას შეუდგა 2025 წლის ოქტომბრიდან. ის აქტიურ მონაწილეობს მიიღებს კვლევის დიზაინის შემუშავებაში, შედეგების ანალიზსა და პოლიტიკის რეკომენდაციების

ფორმირებაში, რაც ხელს შეუწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების ინტეგრირებას ბავშვთა დაცვისა და ზრუნვის საერთაშორისო პრაქტიკაში.

სალომე ნამიჭეიშვილი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. მისი ერთ-ერთი მოხსენება ეხებოდა ბავშვთა კეთილდღეობის თემას. 2025 წლის მაისში მან მონაწილეობა მიიღო გერმანიის ქალაქ ფრაიბურგში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში და წარადგინა მოხსენება თემაზე: „სოციალური მუშაობის როლის განმტკიცება ბავშვთა მონაწილეობასა და სისტემურ ცვლილებებში“.

აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ სალომე ნამიჭეიშვილი სოციალური მუშაობის სასწავლო პროგრამის დაარსების დღიდან (2006 წელი) კითხულობს კურსს „სოციალური მუშაობა და ბავშვთა დაცვა ძალადობისა და უგულებელყოფისგან“, რომლის მიზანია სტუდენტებისთვის ბავშვთა დაცვის ძირითადი პრინციპებისა და მექანიზმების გაცნობა.

სალომე ნამიჭეიშვილის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე, რომელშიც აღსანიშნავია სამეცნიერო პროდუქტიულობა, კერძოდ პუბლიკაციები და კვლევითი აქტივობები, აგრეთვე მისი სასწავლო პროცესის წარმართვის გამოცდილება, კომისიის წევრებმა მიიღეს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

მეორე კანდიდატმა, **კახა ქეცბაიამ** მაღალი აკადემიური სტანდარტის დაცვით ისაუბრა კომისიის მიერ შერჩეულ თემაზე: „რელიგიურობის გაზომვასთან დაკავშირებილი კრიტერიუმები და სირთულეები“ და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრებისთვის ნათელი გახდა, რომ კახა ქებაიას კვლევითი გამოცდილება და კვალიფიკაცია შეესაბამება თანამედროვე დასავლურ (ევროპულ და ამერიკულ) სამეცნიერო დონეს და მას შეთვისებული აქვს დასავლურ სამეცნიერო ნაკადში გაჩენილი უახლესი ცოდნა და კვლევითი მიღწევები. ეს ასახულია კიდეც კახა ქეცბაიას სამეცნიერო მიღწევებში, იქნება ეს მისი პუბლიკაციები, განხორციელებული პროექტები თუ მონაწილეობა კონფერენციებში. კერძოდ, რელიგიის სოციოლოგიის პრობლემებს მიეძღვნა მისი პუბლიკაციები: Classical and Modern Sociological Implications of Relationship between Religion and Economics (The journal of Association 1901 SEPIKE , 2018), რობერტ ნილ ბელა: ნეოევოლუციონიზმი რელიგიის სოციოლოგიაში (ჟურნ. “რელიგია”, 2018), ემილ დიურკემი და მაქს ვებერი რელიგიის სოციალური ფუნქციის შესახებ (ჟურნ. “რელიგია”, 2018), გლობალიზაცია და ტრადიციული რელიგიები (ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი”, 2018), თომას ლუკმანი და პიტერ ბერგერი: რელიგიის

ფენომენოლოგიური გაგება (ჟურნ. “რელიგია”, 2017), რელიგიის უახლესი სოციოლოგიური თეორიების კრიტიკული განაზრება (კრებული “ფილოსოფიური ძიებანი”, 2016), Religion in pos-classical Society (კრებული „Современые проблемы отношении университетов с промышленность ю в болонской образовательной системе“, 2016), რელიგია და გლობალიზაცია (ჟურნ. “მიჯნა”) და სხვ.

ხაზგასასმელია, რომ ეს მიღწევები გამოყენებულია სასწავლო კურსებში და ჩართულია სასწვლო პროცესში (კერძოდ, რელიგიის სოციოლოგიის კურსში).

კახა ქეცბაიას დოკუმენტაციის შესწავლისას საკონკურსო კომისია შეთანხმდა, რომ კანდიდატის სამეცნიერო-კვლევითი პროფილი და სალექციო პროცესის წარმართვის გამოცდილება სრულად შეესაბამება მოწინავე აკადემიურ სტანდარტს. აგრეთვე, აღსანიშნავია კანდიტატის პუბლიკაციები, საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო პროექტებში მონაწილება. ეს ყველაფერი კომისიის წევრთა გადაწყვეტილებაში აისახა.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი.

ფარული კენჭისყრის შედეგები:
სალომე ნამიჭეიშვილი - მომხრე - 6, მოწინააღმდეგე - 0.
კახა ქეცბაია - მომხრე - 6, მოწინააღმდეგე - 0.

დაადგინეს: სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულების ასოცირებული პროფესორის 2 აკადემიურ თანამდებობაზე ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნენ სალომე ნამიჭეიშვილი (სოციალური მუშაობა) და კახა ქეცბაია (სოციოლოგია).

შემაჯამებელი ოქმი გადაეცეს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი
(კომისიის თავმჯდომარე)

პროფესორი ამირან ბერძენიშვილი
(კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

ასისტ. პროფესორი შორენა თურქიაშვილი
(კომისიის მდივანი)

ასოც. პროფესორი თამარ მახარაძე
(კომისიის წევრი)

ასოც. პროფესორი ნათია ფარცხალაძე
(კომისიის წევრი)

ასოც. პროფესორი ანა დიაკონიძე
(კომისიის წევრი)